**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მისია**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მისიაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ქვეყანაში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს.ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

3. ცენტრს აქვს ტიტულიანი ბლანკი, ბეჭედი, ასევე საბანკო ქვეანგარიში.

4. ცენტრი განთავსებულია შემდეგ მისამართზე : თსუ III კორპ., ი. ჭავჭავაძის გამზირი N 11ა , 0179, თბილისი

**მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილებება**

ცენტრის უფლებამოსილებებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

ბ) სატრენინგო პროგრამების შემუშავება და ჩატარება;

გ) საერთოშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა:

დ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელების და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა;

ე) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია;

ვ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

ზ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

**მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილებები**

1. ცენტრს მართავს ცენტრის დირექტორი, რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ცენტრის დირექტორი:

ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილ და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ  პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს მომდევნო წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი  წლის საქმიანობის ანგარიშს;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს ცენტრის დირექტორის მოადგილე.

4. ცენტრის დირექტორის, ცენტრის დირექტორის მოადგილისა და დამხარე პერსონალის საქმიანობა ანაზღაურდება ცენტრის მიერ მოზიდული თანხებიდან.

**მუხლი 4. ცენტრის ქონება**

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

**მუხლი 5. ცენტრის ფინანსები**

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.